თბილისის „დინამო“ უეფა-ს თასის მერვედფინალში

„დინამო“ (თბილისი, სსრკ) – „ ვიქტორია“ (ბუქარესტი, რუმინეთი) 0:0

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 4 ნოემბერი.

„დინამო““ გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე, კორღალიძე (აჯოევი, 63), გურული (ფანცულაია, 77), შენგელია.

„ვიქტორია“: ნიცუ, კომანესკუ, ტოპოლინსკი, აუგუსტინი, სოლომონი, მირია, ცელნარი, (ხენცელი, 77), კოჟორაკუ, ენე, ბალაუ, ვაიშკოვიჩი (იორდაკე, 67)

მსაჯები: ს. რუოკინენი, ე. პალხი, ტ. იარვიო (ყველა -ფინეთი).

გააფრთხილეს: ტოპოლინსკი (32), მირია (40), კეტაშვილი (42).

გააძევეს: არზიანი (60).

გუშინდელი მატჩისადმი „ვიქტორიას“ მზადებისა და გუნდის განწყობის შესახებ ამ დღეებში ჩვენმა გაზეთმა რამდენიმე ინფორმაცია მიაწოდა დაინტერესებულ მკითხველს. რუმინელები იმედს არ კარგავდნენ და საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი - ეს დაადასტურეს კიდეც განმეორებით მატჩში. შინ 1:2 დამარცხების შემდეგ „ვიქტორიას“ დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა. ეს კი გუნდს ზედმეტი დაძაბულობისგან ათავისუფლებდა. თუ თამაშის საერთო სურათით ვიმსჯელებთ, მართლაც „ვიქტორია“ ახლა სულ სხვა გუნდი იყო, ვიდრე ამ ორი კვირის წინათ. თბილისში მატჩის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელები იტყვიან: ჩვენ გუნდზე სამდურავი არ გვეთქმის, თითოეულმა ფეხბურთელმა ის გააკეთა, რაც შეეძლოო. „ვიქტორიამ ეს მატჩი თითქმის საუკეთესო შემადგენლობით ითამაშა და ბუქარესტში თუ დინამოელთა უპირატესობა აშკარა იყო,. თბილისში სტუმრებმა ტოლი არაფერში დაუდეს მასპინძლებს.

იმის თქმა, რომ „დინამოს“ იოლი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი, არ შეიძლება. ევროპის საკლუბო ტურნირებში ბედის უცაბედი შემოტრიალებისგან დაზღვეული არავინაა. ეს კარგად იცოდნენ დინამოელებმა და ყოველნაირად ცდილობდნენ მეტოქეს ხელში არ აეღო თამაშის სადავეები. მატჩი მძიმე გამოდგა. ძალისმიერი თამაში ხშირად გადადიოდა უხეშობაში. ერთ-ერთ მომენტში არზიანმა ნერვები ვერ მოთოკა და განზრახ უხეშობისთვის მსაჯმა მოედანი დაატოვებინა. ამ ფეხბურთელის წინდაუხედავმა მოქმედებამ საფრთხის წინაშე დააყენა მთელი კოლექტივი. სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ განსაკუთრებით გააქტიურდნენ სტუმრები. დინამოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდმა ამ ბოლო 25 წუთში, როცა მოედანზე 10 ფეხბურთელი დარჩა, სრული მობილიზება გამოავლინა და რამდენიმე სახიფათო იერიშიც კი განახორციელა.

კარის აღების შესაძლებლობა მთელი მატჩის განმავლობაში ჰქონდა ორივე გუნდს. სასურველ შედეგს კი, გოლი გვაქვს მხედველობაში, ვერც ერთმა მხარემ ვერ

მიაღწია. თუმცა, თამაშის მეორე ნახევარში დინამოელთა ერთ-ერთ შეტევას შენგელიას უდავო გოლი მოჰყვა. მსაჯმა ბურთი რატომღაც არ ჩათვალა. საბოლოოდ უეფა-ს თასის მერვედფინალში გასვლის უფლება ამ მატჩით თბილისის „დინამომ“ მოიპოვა.

“ლელო”, 5.11.1987